“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი)

გუშინ, 23 მაისს, მოსკოვში “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

დაახლოებით ერთი თვის წინ თბილისში შესდგა პირველი კალენდარული მატჩი 1946 წლის საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში.

სეზონი გახსნეს თბილისისა და კიევის დინამოელებმა. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0. ამის შემდეგ თბილისის გუნდს არც ერთი შეხვედრა არ წაუგია და ამჟამად ითვლება საკავშირო პირველობის გათამაშების ლიდერად.

მოსკოვის “სპარტაკი” წელს გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე შარშან. დედაქალაქის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს “სპარტაკის” თავდამსხმელთა ხუთეულის შეთანხმებულ თამაშს. სპარტაკელთა კარში დგას კარგად ცნობილი მეკარე ჟმელკოვი.

თბილისელები მომზადებული შეხვდნენ ამ საპასუხისმგებლო მატჩს.

თამაში დაიწყო თბილისელთა სწრაფი შეტევით. პაიჭაძე, ჯეჯელავა, ხარბედია და ანთაძე თითქმის “დასახლდნენ” “სპარტაკის” საჯარიმო მოედანზე. ისინი ზედიზედ ურტყამდნენ მოსკოველთა კარში, მაგრამ მეკარე ჟმეკლკოვი შეუმცდარად იღებდა მათ მიერ გაგზავნილ ბურთებს.

დაახლოებით მე–20 წუთზე თბილისის თავდასხმის ცენტრმა ბორის პაიჭაძემ მძლავრი დარტყმით გაიტანა ბურთი სპარტაკელთა კარში – 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

შემდეგ თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, ბოლო წუთებში ინიციატივა კვლავ თბილისელებმა იგდეს ხელთ და პაიჭაძის მიერ მოწოდებული ბურთი ანთაძემ თავური დარტყმით გაახვია “სპარტაკის” კარის ბადეში.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გუნდის სასარგებლოდ – 2:0.

მეორე ნახევარში სპარტაკელებმა მძაფრი შეტევა განავითარეს და თბილისის გუნდის მეკარეს იოსელიანს, რომელიც ამ სეზონში პირველად თამაშობდა, მოუხდა მეტად სახიფათო ბურთების აღება. 30–ე წუთზე თბილისის გუნდის მარჯვენა გარემარბმა გაიოზ ჯეჯელავამ კუთხური დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა მოსკოველთა კარში.

სპარტაკელები უკვე იბრძვიან იმისათვის, რომ მატჩი მშრალად არ წააგონ. ამას მათ მიაღწიეს – 11 მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმით შესძლეს ერთადერთი ბურთის გატანა თბილისელთა კარში.

თბილისელთა მხრივ მატჩი კარგად ჩაატარა თავდასხმის ხუთეულმა და მეკარე იოსელიანმა.

თბილისის “დინამოს” გუნდმა შეინარჩუნა ლიდერობა საკავშირო პირველობის გათამაშებაში. მან ზედიზედ მოიგო ექვსი შეხვედრა და მოაგროვა 12 ქულა.

მორიგ ორ შეხვედრას თბილისელები ჩაატარებენ ლენინგრადსა და მოსკოვში. 28 მაისს ისინი ლენინგრადში შეხვდებიან “ზენიტის” გუნდს, ხოლო 2 ივნისს – მოსკოვში “ცდკა”–ს.

24 მაისი, 1946 წ.